საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/5 " 20 " იანვარი 2023 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

იჯარის ხელშეკრულების დადებაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს 2023 წლის 10 იანვრის №06-77 წერილით მომართა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა. წერილში აღნიშნულია, რომ ვინაიდან ხულოს მაგისტრატი სასამართლოს შენობის არსებული სახით ექსპლოატაცია, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზის №008394622 დასკვნის შესაბამისად, საფრთხის შემცველი და დაუშვებელია, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შესაბამისი ფართის მოძიება, რომელიც წარმოადგენს კერძო საკუთრებას (მის.: დაბა ხულო, რუსთაველის ქ. №6, ს/კ №23.11.31.792, მიწის ნაკვეთის ფართობი 363.00 კვ.მ., მასზე განთავსებული შენობა ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი 308.08 კვ.მ). საერთო სასამართლოების დეპარტამენტი ითხოვს თანხმობას, უზრუნველყოს ყველა საჭირო პროცედურის განხორციელება, რათა დაკმაყოფილდეს ხულოს მაგისტრატი სასამართლოს საჭიროება და აღნიშნულის მიზნით გაფორმდეს იჯარის ხელშეკრულება 1 წლის ვადით, ხოლო საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვროს თვეში 3125 ლარით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები ზემოაღნიშნულ ფართთან დაკავშირებით იჯარის ხელშეკრულების 1 წლის ვადით გასაფორმებლად, ხოლო საიჯარო ქირის ოდენობა განსაზღვროს თვეში 3125 ლარით.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი